

## წა გრიგოლ ნეოქასარიელი

### ხარებისათვა, მესამშ\*

აუამს მოფიტენი ფაჩი იგი ურჩებად, ვცრემლოოდ; და რაუამს ვიხილი ნაყოფი იგი მარიამის, კუალად განვახლდი, უკუდაო ნათესავით, უხილაო სიკეთითა, პირველ საუკუნეთა ნათელი ნათლისაგან, ღმრთისაგან მამისა იშვე ძლი ღმრთისა და, სიტყუად რაო იყავ, ჭორუნი შეიმოსენ ქალწულისაგან წმიდისა მარიამისა, რამთა კულითა შენითა წმიდითა შექმნული ადამი კუალად განაახლო.

წმიდაო, უკუდაო, საუკუნეო, მიუწდომელო, უცვლებელო, რომელი ჰეშმარიტი ძლი ღმრთისა პირველ საუკუნეთა ხარ, სათხო-იყავ შესლვად საშოსა წმიდისა ქალწულისასა, რამთა პირველ დაბადებული იგი კაცი ჰელთა-აგან შენთა წმიდათა და ცოდვითა მომკუდარი კუალად განაახლო.

ჩეფსით მოხუედ ნებითა მამისა უხილავისა-თა. ზიღაღადებთ შენ ყოველი და მეუფედ გხადით, შემწე ჩუენდა იყავ, რომელი იშვე ქალწულისაგან და შეიხვე სახუეველითა და მიიწვინე ბაგასა და სხითა იზარდებოდე მარიამის-გან, რამთა პირველ შექმნული ადამ კუალად აღადგინო.

მრთის მეცნიერებისა რაო გემოვ ვიხილეთ, ქმაო ტკბილი აღმოუტეოთ და ტკბილ-სა მას ღმრთისა სიტყვსა ძალსა ვადიდებდეთ, ქმა-ტკბილისა მის მოძღვრისა საღმრთოვსა მაღლისავსა ლირსნი ქებანი შევწირნეთ. ქამეთუ ქუეანა და ზღუად და ყოველივე დაბადებული, ხილული და უხილავი ღმრთისა კაცთ-მოყუარებასა უგალობს და ადიდებს მისისა მისთვს სახიერებისა, რამეთუ ყო ჩუენდა მომართ. ქამეთუ ღმერთი იყო და ჭორუცითა გამოჩნდა, სიმდაბლი გამოუთქმელი ინება, დედაკაცისაგან წმიდისა იშვა, რამთა ურჩებითა მომკუდარი იგი კუალად განაახლოს.

ჭოვედით, ერნო, და ყოველი ქალწულისაგან შობილსა უგალობდეთ. ქომელი ღიდებად და პატივი ღმრთისა უპირადშის ყოველთა საუკუ-

ნეთა არს, მსგავსად ვნებისა და სიგლახაკი-სა ჩუენისა იქმნა ღიდად შეუნიერი იგი ველმ-10 წიფებად; რომელი ხატი ღმრთისა იყო, ხატი მონისა შეიმოსა; რომელი მან შეიმოსა ნათე-ლი ვითარცა სამოსელი, იქცეოდა კაცთა შო-რის ვითარცა შეურაცხი; რომელი ქერობინთა ზედა ბევრულთაგან ანგელოზთა იდიდების, 15 იქცეოდა სოფელსა შინა, რომელი პირველითვე არს და აცხოვნებს ყოველსა სოფელსა, წმიდის-აგან ქალწულისა იშვა, რამთა პირველ შექმნუ-ლი იგი კუალად განაახლოს.

წყო დასაბამი განკაცებისა ქრისტემან 20 ღმერთმან ჩუენმან, რომელ თანა-დაუსაბამო იყო ღმრთისა და მამისა, რამთა აღიყვანოს დაუსაბამოდისა მის მთავრობისა ღმრთულებისა დაცემული იგი კაცი.

ქატი მონებისა შეიმოსა წმიდისაგან ქალ-25 წულისა, რამთა კუალად-გუაგნეს ჩუენ დი-დებულსა მას ხატსა უფლისა ჩუენისასა; შეი-მოსა მიწისაგანისა მის ხატი, რამთა ზიარ მყვნეს ჩუენ ხატისა მის ზეცისახსა; მკლავთა ზედა წმიდისა დედაკაცისათა დაჯდა, რამთა 30 მარჯუენით გზოდოს ჩუენ თვისისა მამისა; შეურაცხი გუამი თავს-იდვა შემოსად და მითვე საფლავსა დაიდვა, რამთა მკუდრად გამოგრ-ჩინეს ჩუენ საუკუნისა ცხოვრებისა; საშოსა წმიდისა ქალწულისასა დაადგრა მიუწდომე-35 ლი იგი, რამთა ცოდვითა გან ჭრწნილი ადამ კუალად განაახლოს.

ცხოველი წყარო, ქრისტე ღმერთი ჩუენი, — ცხოველისა მიმართ ქმისა გურწმენა, — ცხორების მომცემელ არს; საიდუმლო ესე 40 ცხორებასა დაუსრულებელსა მდიდრად მოან-იჭებს, რომელი ესვენ მას და სულითა მით მაღლისა მით თუალთა გულისათა განაათლებს.

შმის დაწყულებელისა და თაფლის გამო-45 მადინებელისაგან წყაროდესა, რომელთა სარწ-მენებით სწყურის, განძღებიან; რომლისათვის-ცა ერთი ქმა თითოეულსა საცხოვრებელად მსგავსად ლირსებისა განეფოფვის: სწორად

\* სინური მრავალთავი 864 წლისა, რედ. ცკ. შანიძე, თბ., 1959. გვ. 16-23.

მისცემს ჭაბუკთა და ბერთა, დედათა და ყრმა-თა; ერთისაგან დაუსრულებელისა წყარომა-გამოუთქუმელისა ღმრთებისახას აღმოეცემის მაღლი იგი და ნიჭი სულისა წმიდისამ; ერთი-საგან წმიდისა ქალწულისა მრავალ-სასყიდლი-სა იგი მარგალიტი გამოვიდა, რამთა ცოდვითა მომკუდარი იგი პირველ შექმნული იგი კაცი კუალად განაცხოველოს.

ჭზტ სიმართლისამ ქუეყანასა ზედა გამოჩნ-და, ქრისტე ღმერთი ჩუენი, სახითა ხატად კა-ცისა მოსლვად ნათესავისა ჩუენისა ჯერ-იჩინა; შესხრტულსა მას გუამსა კაცებისასა ელვარტ იგი ბრწყინვალებად ღმრთებისად დაეფარა და სულითა ღმრთებისამთა მოგუეახლა ჩუენ; ანგელოზთა გალობასა ლირს მყენა ჩუენ გა-ლობად მისა; ოქრო-ფესოვანთაგან ყუავილთა შეთხზულითა გრძგზნითა დღესასწაულთ მოუ-არეთად მორჩილად მსმენელთა სულთად პნე-ბავს გრძგზნოსან ყოფავ; დაუბერებელთაგან სამოთხეთა ნაყოფ-შუენიერნი იგი ყუავილნი მოუკდეთ და ქელითა მოვისოულნეთ, რამეთუ ღირს არს ღმრთისა სათნოდ იგი ტაძარი წმი-დისა ქალწულისამ ესევითარითა გრძგზნითა შემკობად. ცმისთვის მისგან განმანათლებელი იგი მარგალიტი გამოვიდა, რამთა ბნელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა შთაგრძომილი იგი კუალად ნათელსა მას უკუდაებებისასა აღმოი-ყვანოს. საღმრთოთაგან სიტყუათა ქრისტის მაღლითა რაო ვიშუებთ, ღირსნი გალობანი მისა შევწირნეთ საღმრთოთაგან საიდუმლო-თა; უკუდაებისა ნაყოფთა მოსოულებად ვის-წრაფოთ ღმრთით შემოსილთა მითხრობათა ნაყოფითა სულნელებისამთა; სიტყუათა შინა საღმრთომა მაღლისათა ვიშუებდეთ და მყ-რალობად განბანად ვისწრაფოთ, ხოლო სულ-ნელებად იგი სათნოებათად შევიმოსოთ; ჯაჭვ იგი სარწმუნოებისამ შთავიცუათ და სათნოდ იგი ცხოვრებად მოვიბლარდნოთ, წმიდად იგი და შეუგინებელი სამოსელი სიწმიდისად დაგი-მარხოთ, რამეთუ ესე სათნოებად არს შშკდობი-სა თანამყოფი და სიყუარულისა თანა-მეუღლე, ყუავილი, რომლისაგან სასოებისა სულნელე-ბად გამოვალს.

ია რომელი ამას ზედა კრავნი ძოვენ სარ-წმუნოებით, ნათლის-სახენი თესლი სამებასა უგალობენ და ჩუენცა, საყუარელნო, მარანსა მას მაცხოვრისასა მივისწრაფოთ, საღმრთომა სიტყუათა მაღლისამთა ანგელოზთა თანა წმი-დასა ქალწულსა უგალობდეთ და ვიტყოდით:

გიხაროდენ, მიმაღლებულო! რამეთუ მისგან გამოვიდა ნათელი იგი მიუწდომელი და გან-გუანათლა ჩუენ გამოუთქუმელითა მით მისითა სახიერებითა.

- 5 ხარავი განწმენდილი და ტაძარი ღმრთი-სამ პატიოსანი ჰქომარიტად წმიდად ქალწუ-ლი იყო ოქრომა იგი ყოვლად დასაწუკელთად მათ საკურთხეველი გარდამატებულისა მისითა მისისა სიწმიდისა; საღმრთოდ იგი შეზავებუ-ლი საკუმეველი და წმიდად იგი საცხებელი ზეთისა მრავალ-სასყიდლისამ იგი სარწმუ-ნომა ნარდისა ალაბასტრისამ; სამღლელოდ იგი გრძგზნი გამოუთქუმელისა მის ზრახვისა მაუწყებელი, რომელი მხოლოდ ჭორცითა და 10 სულითა წმიდა იყო; ბჭმი იგი, რომელი აღმო-სავალად ხედვიდა და უფლისა შესლვითა და გამოსლვითა ყოველი სოფელი განანათლა; მსხ-მოდ იგი ზეთისხილი, რომლისაგან ჭორციე-ლი იგი უფალი მოიღო სულმან წმიდამან და 15 მრავალ-გუემული ნათესავი კაცთად აღპმართა.
- 15 სულითა წმიდა იყო; ბჭმი იგი, რომელი აღმო-სავალად ხედვიდა და უფლისა შესლვითა და გამოსლვითა ყოველი სოფელი განანათლა; მსხ-მოდ იგი ზეთისხილი, რომლისაგან ჭორციე-ლი იგი უფალი მოიღო სულმან წმიდამან და 20 მრავალ-გუემული ნათესავი კაცთად აღპმართა.
- 25 სულითა წმიდა იყო; ბჭმი იგი, რომელი აღმო-სავალად ხედვიდა და უფლისა შესლვითა და გამოსლვითა ყოველი სოფელი განანათლა; მსხ-მოდ იგი ზეთისხილი, რომლისაგან ჭორციე-ლი იგი უფალი მოიღო სულმან წმიდამან და რამთა ცოდვითა მომკუდარი იგი ადამ განაახ-ლოს.

შუცელსა ქალწულისასა რაო დატვნად ჯერ-იჩინა უფალმან, მთავარანელოზი წინავ-სწარ მახარებელად მოავლინა, ხოლო იგი გამო-უთქუმელთაგან რაო ზეცისა ძალთა მარიამისა 30 მოვიდა და პირველად «გიხაროდენ, მიმაღლე-ბელი» უქადაგა მას და კუალად მჯსხეულად მიაგება, ვითარმედ: «უფალი შენ თანა» (ლუკ. 1,28), «კურთხეულ ხარ შენ დედათა შოვრის და 35 კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისავ» (ლუკ. 1,42), ხოლო იგი შემრწუნდა და განიზ-რახვიდა: ვითარ-მე იყოს მოკითხვად ესე? შემს-გავსებულად სამე წმიდასა მარიამს ქალწულად მაღლი იგი გამოირჩეს, რამეთუ ბრძნი იყო კოვლითავე წმიდად ესე, კოველთა ნათესავთა დე-დათა შორის არასადა იპოვა მსგავს მისა.

- 40 45 ცრა ვითარ პირველი იგი ქალწული გვა სა-მოთხესა შინა იპოვა მარტოდ უსუსური გონები-თა და გუელისაგან სიტყუად იგი შეიწყნარა და ესრომ განიჭრნა თვისისაგან გულის ზრახვისა და მის გამო კოველივე შრომად წმიდათად იქმ-ნა, არამედ მხოლომა საგანმანათლენო წმიდა იგი შეცოდებად განქარდების.

ცრა ვითარ-იგი სარას რაო ქარა ძისა მიღ-

გომილობისათვეს და თავტერად იცინოდა; არა ვითარ-იგი რებუკა სამკაული იგი ნებით თვისით მყსეულად შეიწყნარა და გულს-მოდგინედ აქლემთა მათ ქმრისა თვისისათა ასუმიდა წყალსა; არა ვითარ ყოველმან დედაკაცმან მხარულებად იგი მოკითხვისათვის განუკითხველად შეიწყნარა, არამედ განცხოველებულითა გონებითა და განათლებულითა გულის სიტყვათა თავით თვისით განიზრახვიდა და იტყოდა: «ვითარ-მე იყოს მოკითხვად ესე? ვინავ-მე აქუს თავი ნიჭისა ამას? ვინავ ჩუენდა ესვითარი კურთხვამ მოიღე? რომელთა საფასეთაგან მარგალიტი ესე სიტყვად მოივლინა ჩუენდა? მნებავს, რამთა უწყოდი: რა არს ნიჭი იგი და ვინ არს მოძღვებელი, ანუ ვინავ არს მომძღვნებელი იგი? ზეცით მოსრულხარ და კაცისა ხატად აჩუენებ და ლამპარ ნათლის ელგარე ხარ».

ცმას თავით თვისით წმიდად იგი განიზრახვიდა და იტყოდა. ქოლო ანგელოზმან მან ესვითარითა სიტყვათა მარიამისგან კითხვად იგი დაუკისნა და პრქუა: «სული წმიდად მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისად გფარვიდეს შენ» (ლუკ. 1,35), «რომლისაგან მუცლად-იღო და შეე ძღვიდა უწოდი სახელი მისი იესუ» (ლუკ. 1,31), რამთა იქსნეს ნათესავი კაცთად სიკუდილისაგან ცოდვათადასა.

შერმე კუალად მიუგო მარიამ ანგელოზსა მას და პრქუა: «ვითარ-მე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მამაკაცი ქუეყანისად ცნობად არა მნებავს?» (ლუკ. 1,34), რამეთუ ზეცისასა მას სიძესა თავი თვისი განუკუთნე; ქალწულად მნებავს დადგრომად და პატვი ქალწულებისად არა მნებავს განცემად.

ქოლო ანგელოზი იგი ესვითარითა სიტყვათა წმიდასა მას განამტკიცებდა: «ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ პპოვე მაღლი წინაშე ღმრთისა» (ლუკ. 1,30). ჟადლსა მას ნუ განიკითხავ, რამეთუ შჯულთა ბუნებისათა მაღლმან დამონებად არა თავს-იდგას. ქოლო სული წმიდად მოვიდეს შენ ზედა. ცმისთვის შობილი იგი ძღვიდოთად თანა-ხატი და თანა-არსი და თანა-მსგავსი მამისად, რომელსა შინა ყოველივე აქუს მამასა: ღმრთუებისა გამოცხადებად, ხატი პირისა შინა და ბრწყინვალებისაგან დიდებად იგი განახლდების.

სწავენ, შ მარიამ, რომელი აქამომდე ანგელზთაგანცა დაფარულ იყვნეს; გულისხმა-ყვენ, მარიამ, რომელი წინაწარმეტყუელთა და მამათ მთავართა ვერ იცოდეს: გესმა, რო-

მელსა ვერსადა ვინ კრებულთაგანი ღმერთ-შემოსილთად ლირს იქმნა. დავით და ესაია და ყოველნი წინაწარმეტყუელი უფლისა განკაცებისათვეს წინავე ქადაგებდეს, არამედ ვითარ გულებოდა ყოფად, არა უწყოდეს, შენ ხოლო მარტოდ, შ წმიდაო ქალწულო, რომელთა ყოველნი უმეცარ არიან საიდუმლოთა, შეიწყნარე და ისწავე და ნუ განიზრახვ და იტყე: «ვითარ-მე იყოს ჩემდა ესე?» რამეთუ რომელმან ქალწულისაგან ქუეყანისა შექმნა კაცი, აწცა მანვე ყოს, ვითარცა უნდეს, რამთა აცხოვნოს თვისი იგი შექმნული.

ცწ ღმრთუებისა გამომეტყუელებისა გამოუთქმელისა ნათლისა ლამპარნი ელგარედ გამობრწყინდებიან; აწ დამაკრვებს მე წმიდისა ქალწულისა სახმ. ზითარცა-იგი შემსგავსებულად ესე ანგელოზმან ყოვლისა უპირადს ესვითარითა სიტყვათა მოიკითხა, ვითარმედ: «გიხაროდენ, მიმაღლებულო!»

ზოგელთაგან ნათესავთა შობად ღმრთისა ესე ხოლო ლირს იქმნა, მარტომან იტკრთა, რომელსა სიტყვათა უტკრთვან. Ծა არა ხოლო თუ შეუნიერებად იგი ღმრთის-მშობელისამ, დასაკრვებელ არს სულისა მისისადცა იგი სათხოებად; რომლისათვისცა ანგელოზმან მან უღალადა მას, ვითარმედ: «გიხაროდენ, მიმაღლებულო! უფალი შენ თანა!» და მერმე კუალად: «შენგან», რამთა ხატად თვისა შექმნული იგი აცხოვნოს. ზითარცა მოწვალემან საგანედ ღმერთსა წმიდად სული თვისი განუშზადა, უცხოთა საიდუმლოთა დამტევნელ იქმნა.

ჭოვედით უქუე აწ, საყუარელნო, და ჩუენცა მსგავსად ძალისა ჩუენისა თანა-ნადები იგი გარდავიწადოთ; ჭმასა მას ანგელოზისასა ჩუენცა შეუდგინოთ და ვღალატ-ვყოთ: «გიხაროდენ, მიმაღლებულო! უფალი შენ თანა!» რამეთუ შენდა არს სიხარული, ვითარცა არს ჭეშმარიტ, ამისთვის რამეთუ შენ თანა და შენ შორის უფალმან ყოველთამან დაიმკუდრა, ვითარცა უწყის. ზიხაროდენ, მიმაღლებულო! შენ თანა უფალი! და არა ქუეყანისაგანი სიძმი, თვით იგი თავადი უფალი და სიწმიდისა მამამ, ქალწულებისა მცველი და სიწმიდისა უფალი, უკრწნელებისა იგი შემოქმედი და აზნაურებისა მოცცემელი და ცხოვრებისა იგი მოღუაწუ და ჭეშმარიტებისა და მშკდობისა მეუჯც და მოცცემელი, — იგი თავადი უფალი შენ თანა, რამეთუ შენ შორის ღმრთუებისა მაღლმან განისუენა, რამთა აცხოვნოს ნათესავი კაცთამ,

ვითარცა მოწყვალემან უფალმან, და არღარა ეშინის ადამს გუელისა მისთვის მზაკუვარისა, რამეთუ მო-რად-ვიდა უფალი ჩუენი, ყოველი ძალი მტერისად განაბინა და არღარა ეშინის ნათესავსა კაცთასა ზაკუვისა მისთვის გუელისა და საცოტრისა, რამეთუ უფალმან ჩუენმან შემუსრა თავები ვეშაპისად წყლითა მით ნათლის-ღებისადთა.

ცრდარა მეშინის მე სქენად, ვითარმედ: «მიწად ხარ და მიწადვე წარხდე» (დაბ. 3,19), რამეთუ უფალმან წმიდითა მით ნათლის-ცემითა მწინკული იგი ცოდვისად განმბანა მე; არღარა ვტირ, არღარა ვიგლოვ, არღარა ვიტყვ მე, ვითარმედ: «მიფიქცე მე გლახაკებად, რამეთუ განმესხა მე ეკალი» (ფს. 31,4), რამეთუ უფალმან ეკალთა ჩუენთად იგი ცოდვად აღმოპფხურა და თავსა ზედა თვისსა გპრგზნად დაიდგა.

Ծახსნილ არს ცოდვად იგი ჩუენი; და წსნილ არს პირველი იგი ჩუენი წყევამ, რომელი იტყვს: «ეკალთა და კუროვსთავთა აღმოგიცცტნებდეს შენ ქუევანავ» (დაბ. 3,18). ცლმოიფხურა ეკალი იგი, აღმოჭუარდა კუროვსთავი იგი, აღყუავდა წმიდისაგან ქალწულისა ხტ იგი ცხოვრებისად და მაღლისავთა.

ცრდარა ეშინის ვას ყუედრებისაგან, არცაღა შობადისა მისთვის სალმობისა, რამეთუ წმიდისაგან ქალწულისა მისი იგი შეცოდებად განქარდა მის გამო, რომელი-იგი მისგან იშვა, რამთა აცხოვნოს, რომელი-იგი ხატად თვისა შექმნა.

წყარო ცხორების მეფავნ ჩუენ წმიდად ქალწული, წყარო ნათლის ქრისტის მიმართ არს და აღმოსაგალ საცნაურისა მის ნათლისა. ზიხაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენ თანა და შენგან, რომელი ღმრთებითა სრულ და კაცებითა სრულ; რომელსა შინა დამკუდრებულ არს ყოველივე სავსებად ღმრთებისა. ზიხაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენ თანა, მტკვლისა თანა მეუფტ, შეუგინებელისა თანა განმწედელი ყოველთავ, შუენიერისა თანა «შუენიერი იგი სიკეთითა უფროვს ძეთა კაცთასა» (ფს. 44,2), რამთა აცხოვნოს რომელი-იგი ხატად თვისა შექმნა.

სიტყვთა საღმრთომთა მაღლისამთა და სარწმუნებისამთა ვიხარებდეთ, რამეთუ ვარდითა და შროშნითა და სულნელებისა ნელსაცხებლითა უკრწნელი იგი არტ ჩუენი — ქრისტ ტუენდა მოვიდა. ზუენიერმან ეკლესიათა სამოთხემან საღმრთოთაგან სულნელებათა დასაკრებელნი

სულთა ჩუენთანი აღავსნა.

წმიდითა გულითა მოუკიდეთ და ვპოოთ ოქრო-ბრკონვალტ იგი სარწმუნოებად ელგარტ და ნაყოფი უკუდავებისანი მას შინა სულნელებითა საჟსენი, რამეთუ უკრწნელისაგან მარიამისა ნაყოფ-შუენიერი იგი ხტ აღმოცცტნდა, რამთა ვითარცა წმიდამან და მოწყალემან აცხოვნოს თვისი იგი შექმნული.

ზრდენი იყო ყოველითავე წმიდად იგი, ყოველთა შორის ნათესავთა არავინ დედათა შორის მსგავს მისა იპოვა.

რა ვითარ პირველი იგი ქალწული ვა მარტო სამოთხესა შინა უსუსური გონებითა შეიტყვება გუელისაგან და ესრტთ სიტყუად იგი 15 შეიწყნარა და სიკუდილი სოფლად შემოილო და ამისთვისცა ყოველი შრომად წმიდათა შეამთხუა, არამედ მხოლოდსაგან წმიდისა მარიამისა ნერგი იგი ცხოვრებისად აღმოგცცტნა ჩუენ. Ծა რამეთუ ესე მარტო სულითა და ჭორცითა იპოვა 20 წმიდა და გულ-დებულითა გონებითა ანგელოზსა მას ეტყოდა: «ვინავ არს მოკითხვად ესე და ვითარ იყოს ესე ჩემდა? მინებს სწავლის, ვითარ დიდად შუენიერი იგი ტელმწიფებად მოგუემსგავსების ჩუენსა ამას სიგლახაკესა? ვითარ, 25 რომელსა-იგი აქუს ძლიერებისა ჭელმწიფებად, შეიმოსს ხატსა ჩუენისა შეურაცხებისასა? და რომელი უპირადტს საუკუნეთა ღმერთ არს, ვითარ ყრმა იქმნების და ჭორციელ იქმნების, რომელმან შეიმოსსა ნათელი სამოსელი (ფს. 103,2) და აცხოვნებს თვისთა დაბადებულთა?» 30 ესვითართა საიდუმლოთა წმიდად ქალწული ეძიებდა, მიუწოდომელთა და საღმრთოთა საიდუმლოთა დამტვრნელ იქმნა და ფარგითა სულისა წმიდისამთა.

35 Ծა გამოჭდა ჭეშმარიტებად იგი გუამისად გუამისაგან, და რომელ-იგი თქვს, ვითარმედ: «სიბრძნემან იშტნა თავისა თვისისა სახლი» (იგ-ავ. 9,1), «სიტყუად იგი ჭორციელ იქმნა და დაემკუდრა ჩუენ შორის» (ინ. 1,14), ესე იგი არს, მასვე გუამისა შინა, რომელ შეემოსსა კაცისაგან და სულითა საშუმინველისამთა ცხოველ ყო და უცვალებელმან ღმერთმან ხატი მონებისად შეიმოსა, რამთა ურწმუნოთა საგონებელ იყოს ვითარცა კაცი, ხოლო მორწმუნეთა გამოეცხადოს ვითარცა ღმერთი, რამთა პირველ შექმნული იგი კუალად განაახლოს.

40 ტე ღმრთის და ღმერთ უპირადტს საუკუნეთა რავ იყო, ძედ დედაკაცისა წმიდისა ჯერ-იჩინა ყოფად და უხილავი იგი იხილეს, და მდიდარი

იგი ჩუქუნთკს დაგლახაკნა და უვნებელმან მან და უკუდავმან ივნო ვითარცა კაცმან; შეიერთა ჭორცითა და არა იცვალა სულითა, მოკუდავსა გუამსა დაიტია დაუტევნელი იგი, რამთა იგიცა უკუდავ ყოს, და თანა-უკუდავ ყო ღმრთელისა, რამთა ჭელთაგან მისთა წმიდათა შექმნული იგი კუალად განაახლოს.

ჩათული მოვიდა სოფლად — ქრისტე ღმერთი ჩუქუნი, და განანათლებს ყოველთავე ნათლითა მით გამოუთქუმელითა; ქმად მამისა უხილავისამ ზეგარდამო წამებს: «ესე არს ძმი ჩემი, სიტყუად უპირადშის საუკუნეთა არს» (შდრ. მთ. 3,17).

ქოლო მარიამ სიტყვათა მით ანგელოზისამთა მოიზღუდვოდა; ხოლო შობასა მას უფლისასა განიზრახვიდა, და უსწორებელსა გულის-სიტყუასა კაცობრივსა განიზრახვიდა: ოდესმე სიმაღლესა ღმრთელისასა აღიწეოდა და ოდესმე სიმდაბლესა კაცობრივსა გულს-ეტყოდა და ესრული საცნაურისა მის სასწორისა როგორძოვე გამოიკულვდა. ძაშინღა ჭეშმარიტისა მის ღმრთისა მიერ შეწევნასა ღირს იქმნა, რამეთუ რომელმან წმიდად იგი ქალწულებისა ქმარი უვნებელად დაიცვა და გულისამცა განსაკითხავი უქცეველ ყო. Ծა აცხოვნებს დაბადებულთა, რომელი ხატად თვისა შექმნნა.

ძაღლი ჩუქუნდა მოვიდა ქალწულისაგან მარა-ამისა — ქრისტე, ძმი ღმრთისამ, რომელი იშვა მისგან, მაღლითა გუაცხოვნებს ჩუქუნ დამბადებელი ყოველთამ, იხარებს ყოველი დაბადებული, რამეთუ ქრისტე სოფელსა შინა იშვა — უგამოცდილებისა დრაპეანი, რამთა მოიგოს სასუფეველისა იგი საყოფელი; სიხარულითა შინაგან წმიდად იგი ქალწული აღისებოდა მის მიერ, რომელმან-იგი მისგან ჭორცნი შეისხნა, რამთა დაცემული იგი ცოდვასა ქუეშე კუალად განაახლოს.

「იგალობთ შენ, წმიდაო მამაო, რამეთუ ვიხ-

ილეთ ნათელი დიდი, რომელ მოგუეც ჩუქუნ ქრისტე იესუს მიერ, რომელი წმიდისაგან ქალწულისა იშვა, აღასრულნა ღმრთელით საკვირველებანი და ვნებანი ჩუქუნთკს თვისითა ჭორცითა, თავს ისხნა საშუმინველითა და სულითა. Ծა ჩუქუნცა, ვიდრე ჭორცითა შინა ვართ, ღმრთელებასა ანგელოზებრითა გალობითა სათნო-ყოფად ვისწრაფოთ გამოჩინებულითა სახითა და საღმრთოთა მათ მეცნიერებათა 10 ჭეშმარიტებითა მორწმუნესა გონებასა ჩუქუნსა დაგსთესოთ, რამეთუ არს საიდუმლოვ ესე მიუწდომელ, უხილავ, უცვალებელ, გამოუთქუმელ, მდუმრიად თაყუანის-საცემელ და გონიერებითა დასაკურვებელ.

15 Ծა ესეცა წმიდად ქალწული დაპკურდა და, ვითარ ნათლისა იგი ბრწყინვალებად დედაკაცისა ნაშობ იქმნა, საფასესა მას ცხორებისასა შეიტყბობდა და მოკითხვასა მთავარანგელოზისასა განიზრახვიდა, ვიდრემდე სრულიად გამოიღო 20 ნაყოფი იგი მაცხოვარებისამ, რამთა აცხოვნოს კაცი.

25 ცქა უკუე ამიერითგან ხატ-შუქუნიერნი იგი ყუავილნი ქრისტეს მოძღურებისანი ნაყოფთა კურთხევისათა გამოგრცებები ჩუქუნ; აქა ყოველივე სიწმიდე და სულნელებად და ლოცვისა იგი საკუმეველი წმიდითა გონებითა ღმრთისა შევწიროთ; აქა ქალწულებამან და სიწმიდემან მოხარულად ცხოვრებითა შემოსილი იგი ტევნი გამოიღო; აქა მოღუაწებანი იგი ძლევითა შემოსილისა ძლიერებისანი ნაყოფთა სიხარულისათა; აქა სამებისა წმიდისა იგი საიდუმლოვ მთავარანგელოზისა მიერ წმიდასა ქალწულსა გამოეცხადა მსგავსად სახარებისა, ვითარმედ: «სული წმიდად მოვიდეს შენ ზედა 35 და ძალი მაღლისამ გფარვიდეს შენ და შობილი იგი წმიდად ძმი ღმრთისამ» (ლუკ. 1,35).

თისა დიდებად და პატივი და სიმტკიცე და თაყუანის-ცემად უკუნითი უკუნისამდე. ცმენ.

